№ 260 დეკემბერი 6, ხუთშაბათი 1890 დეკემბერი 6, ხუთშაბათი № 260

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 8 დეკემბერს.

იაკობ ივანეს ძე და მელანია სტეფანეს ასული შათირიშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მამისას და მეორე მამამთილისას ივანე ანდრიას ძის შათირიშვილისას და სთხოვენ მობრძანდნენ პარასკევს, 7 დეკემბერს, დილის 10 საათზე, მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ საკუთარის სახლიდამ (მეხუთე უჩასტკა, დოქტორის ქუჩა) ანჩისხატის სობოროში. პანაშვიდი იქმნება გადახდილი 6 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ. (1—1)

სახალხო თეატრი

ოლგას ქუჩაზედ, სამგზავრო ფოსტის გვერდით, მებურნუთოვის მამულში.

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს,

ბენეფისი

ვ. გამყრელიძისა

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ქოროღლი

ტრაგედია ოთხ მოქმედებად

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა, დიდებულიძისა, იოსელიანისა და სხვ.; ბბ. აწყურელი, ნებიერიძე, გამყრელიძე, ადამიძე, და სხვ.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენნი 30 კ. გალერეია: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

ქართული თეატრი

კვირას, 9 დეკემბერს,

ბენეფისი

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

ქართველი დედა

ისტორ. დრამა 4 მოქ., ა. ცაგარლისა.

(სიუჟეტი აღებულია ს. არნოს დრამიდგან)

მოთამაშენი: ქქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელაშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, შათირიშვილი, და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე

ბილეთები არავის დაეგზავნება

ანონსი: მზადდება ახალი პიესები: „დამარცხებულნი“ — ოთხ-მოქმედებიანი დრამა პ. უმიკაშვილისა და „ბორო-კილი“, ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. სუმბათაშვილისა.

ტფილისის საქალაქო გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 13 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობისავე სადგურში დანიშნულია ვაჭრობა ქუჩების ქვით მოფენის საქმის იჯარით გასაცემად 1891 წელს. ვისაც უნდა ვაჭრობაში შევიდეს, პირობანი ჰნახოს ყოველ-დღე, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—1)

ტფილისი, 5 დეკემბერი

ოცმა წელიწადმა ჩაიარა მას აქეთ, რაც წათამამებულმა პრუსიამ დაამარცხა ნაპოლეონ მესამის მართვა-გამგეობისაგან შერყეული საფრანგეთი. ამ მცირე ხანში შეთოფიარაღების უზომო სურვილმა შავი ნისლივით მოიცვა ევროპის ერთა პოლიტიკური და საზოგადო ცხოვრება. ჯარების საუკეთესო მოწყობაზედ იმოდენა ფული იხარჯება, რომ, ზოგიერთის მწერლის სიტყვით, თუ მალე ან იარაღი არ აიყარეს, ან არ იომეს, უსათუოდ ევროპის დიდნი სახელმწიფონი გაკოტრებას თავიდგან ვერას გზით ვერ აიცილებენო.

დასამტკიცებლად ამისა, გავიხსენოთ თუნდა მეორე ხარისხოვანის სახელმწიფოს, იტალიის, ფინანსების მდგომარეობა. იტალიას წელიწადში შემოსდის 1,230 მილიონი ფრანკი. აქედან 600 მილიონს მარტო სარგებელში აძლევს იმ ვალის გადასაწყვეტად, რომელიც სამხედრო საჭიროებისთვის იყო აღებული. 450 მილიონიც სამხედრო და ზღვის სამინისტროს უნდება ყოველს წელიწადს, მაშასადამე სხვა საჭიროებისთვის იტალიას რჩება მხოლოდ 180 მილიონი. განა ამ ფულით შეიძლება რიგიანად მოეწყოს მართლ-მსაჯულება, ერის განათლება, მრეწველობა, მეურნეობა, გზები და სხვა ამ გვარი აუცილებელი და უსაჭიროესი ერის მოთხოვნილება? არა გვგონია.

ამ გვარსავე სამწუხარო მდგომარეობაშია სხვა დანარჩენი ევროპის სახელმწიფოთა ფინანსების მდგომარეობა. ხუმრობა ხომ არ არის, თანამედროვე ევროპას ჰყავს შეიარაღებული ცხრა მილიონი კაცი და თადარიგის ჯარშიც 15 მილიონი. წელიწადში იხარჯება მათ შესანახად ოთხი მილიარდი ფრანკი, ანუ ოთხი ათასი მილიონი. ამოდენა ფულის უსარგებლოდ ხარჯვა, რასაკვირველია, ასუსტებს და ამცირებს როგორც კერძო კაცის კეთილდღეობას, აგრეთვე თვით სახელმწიფოსაც.

ამას გარდა, ეკონომიური შედეგი ეხლანდელის ომებისა მეტად თვალსაჩინო და დამღუპველია. მარტო საფრანგეთს თავის სათაკილო ომი 1870 წლისა დაუჯდა თხუთმეტი მილიარდი ფრანკი და პრუსიამაც დახარჯა თითქმის ოთხი მილიარდი. მაშასადამე სულ მცირე ხანში ორმა საუკეთესო ერმა ტყუილუბრალოდ წყალში გადაჰყარა ცხრამეტი მილიარდი ფრანკი. ვინ ჩამოსთვლის, რამდენი კეთილი და სასარგებლო საქმე გაკეთდებოდა ამ აუარებელის ქონებით! მონ-სენისა და სენ-გოტარის გვირაბის გაყვანას, სუეზის არხის გაჭრასა და დიდის ოკეანეს რკინის გზის გაკეთებას სულ მოუნდა სამი მილიარდი ფრანკი. რასაკვირველია, ძნელია გამოჩნდეს ვინმე და დაუპირდაპიროს კეთილი შედეგი ამ უდიდეს საქმეთა იმ უბედურებას, რომელიც მოუტანა კაცობრიობას ფრანგ-გერმანელების ომმა.

საზოგადოდ ომი დამღუპველია ერისათვის, რადგან საომრად გაჰყავთ უფრო ღონიერნი და უფრო მამაცნი, და შინ-კი რჩებიან უძლურნი და სუსტნი, რომელთა ჩამომავლობა [illegible] ვაჟკაცობით ვერ გაითქვამს სახელს და ერი გადაგვარების გზას დაადგება.

ეხლანდელი ომი მით უფრო საზარელია, რომ მეცნიერებამ საომრად ათასი ხერხი და სხვა და სხვა საუკეთესო იარაღი მოიგონა კაცთა გასაჟლეტად. ძველად და საშუალო საუკუნოებში ომებში იღებდა მონაწილეობას მცირე ნაწილი ერისა, და არც ისე ბლომად იხოცებოდა ხალხი, როგორც ეხლა, როდესაც მოკლულთა რიცხვი ათი-ათასობით არის. ამას გარდა ევროპის სახელმწიფოებმა ისეთი საომარი რიგი და წესი შემოიღეს, რომ ძვირად შეხვდები ოჯახს, რომელიც ასე თუ ისე მონაწილეობას არ იღებდეს სისხლის ღვრაში.

ბი ამისთვისაც ევროპის სახელმწიფოთა უზომო შეთოფ-იარაღებამ დიდი ჩივილი და დრტვინვა გამოიწვია ხალხში; ამისთვისაც ერი ეხლანდელს დროში ყოველთვის ეწინააღმდეგება მთავრობას და არ ურჩევს ომის დაწყებას, თუ აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვს, ან თუ მტერი არ ემუქრება ერის პოლიტიკურს თავისუფლებას და მის ადგილ-მამულს.

ყოველს მოვლენას, რაკი იგი მიაღწევს თავისს უმწვერვალეს ხარისხს, უსათუოდ მოჰყვება ხოლმე რეაქცია. აქაც ისე მოხდა. მილიტარიზმმა გამოიწვია ევროპაში საკმარისად მძლავრი რეაქცია და შეიძლება დადგეს მალე ისეთი დრო, როდესაც ომიანობა სრულიად გადავარდება და ყოველი დავიდარაბა, როგორც კერძო კაცთა შორის, გათავდება შუა კაცთა სამართალით. კაი ხანია მას აქეთ, რაც ევროპაში, სხვა-და-სხვა ადგილას, დაარსდა საზოგადოებანი, რომელთაც აზრადა აქვთ ჩამოაგდონ ხალხში მშვიდობიანობა. ამ საგანზით [illegible] გვქონდა დაბეჭდილი „ივერიაში“ და დღეს საჭიროდ აღარა ვსთვლით თქმულის განმეორებას. ვიტყვით მხოლოდ, რომ მშვიდობიანობის მოყვარე საზოგადოებანი უფრო ადვილად ვრცელდება იმ სახელმწიფოებში, სადაც მეტად გამწვავდა საფინანსო მდგომარეობა, მაგალითებრ, იტალიაში. იტალიაში ითვლება ამ ხანად სამოცზე მეტი მშვიდობიანობის მოყვარე საზოგადოება, ყოველ დღე მატულობს მათი რიცხვი და ერის თანაგრძობას იძენს.

ამ მოძრაობაში დიდსა და მხურვალე მონაწილეობას იღებენ მამა-

## ფელეტონი

### რწყილმა აქლემი ჰშობა.

(მოთხრობა ილტრითის)

#### II *)

ლეიპციგში, სასეირნო ალავს ახლოს, მიკუნჭულია ლამაზი სახლი-დილაა. ღია ფანჯრებში სასიამოვნო სურნელება შედის იასამანისა. ქვემო სართულში ფანჯარასთან ამერიკულს სავარძელზედ ნახევრად წამოწოლილია ახე ორმოცის წლის კაცი. ოთახი სადად არის გამართული, კედლებზედ საგეოგრაფიო რუკებია გაკრული და სხვა-და-სხვა გვარისა და ყაიდის იარაღი ჰკიდია. ეს წამოწოლილი კაცი უფროსია ამ სახლისა, ჯანსაღი, მაგარის აგებულებისა, სახითკი კეთილის სახისა. ჰავანის მშვენიერს სიგარასა ხწევს და დილით საუცხოვო, ახლად აყვავილებულის ხეხილების სურნელოვანებითა სტკბება:

უეცრად კარები გაიღო ყურთამდე და ეილაცა ჯმუხი კაცი შემოვარდა ყვირილით:

— ბ-ნო მაიორო! ბ-ნო მაიორო! დეპეშა კიდევ მოიტანეს:

ძნელად თუ ამ კაცის აქვანს გარს ბანოვანნი ჰხვეოდნენ. მაგდენად ვერა-რა ფერსა სდებდა მაღალი, უშველებელი ტანი, უფერული გამობერილ-გადმოვარდნილი თვალები და ქერა, ძუის მაგვარი, თმა. ამ მყვირალას ქრისტესია ერქვა. ქრისტესია კეთილის გულისა იყო, ერთგული თავისის ბატონის მაიორისა და მეგობარ-მეზობელთა ბავშვებისა და ძაღლებისა. იმისი ერთგულება და პატიოსნება ნაცადი იყო და ამიტომ ყველას უყვარდა, თუმცა გარეგნობით მაგდენს ვერას წარმოადგენდა. თავისის მოსამსახურის შეშფოთებული სახე რომ ჰნახა, მაიორი სასტიკად მიუბრუნდა:

— ქრისტესიავ! შენ უწინდელებრ სახედარსავით სულელი და გამოჩერჩეტებული ნუ ხარ. რისა შეგეშინდა? კაცს ასე ეგონება, რომ მაგ დეპეშას ცეცხლი ეკიდებაო, ისე გამოგიჰყეტია ტუტუცი თვალები,

ქრისტესიამ უფრო გადმოატრიალა თვალები.

— აჰ, ბ-ნო მაიორო, უბედურობა-კი არა მოხდეს-რა-და. დღეს სიზმარში განსვენებული დედაჩემი ვნახე და ხომ მოგეხსენებათ ანდაზა, რომ ვინც დილით ჰიასა ჰნახავს, იმას მწუხარება რამ არ ასცდებაო.

შეჰხედა თავისს უფროსს ქრისტესიამ, შეფრთხა და ხმა გაკმინდა. მაიორს დეპეშა ეჭირა, წელში ამართულიყო და ისე შესცქეროდა ქრისტესიას, თითქო შეშლილიაო.

— ეშმაკმა იცის, რა ამბავია, რა სისულელეს, ძნელად დაუჯერებელს სისულელეს, მოსჩმახავენ! კიდევ ცოლიო! ასეთი ურცხვობა ცხვარსაც-კი გააცხარებს და მოთმინებიდგან გამოიყვანს. ქრისტესიავ! აქ მომიახლოვდი, შემომხედე და გამაგებინე: ცოლიანი ვარ, თუ არა?!

მაიორის თვალები ნაპერწკალს აფრქვევდა: საბრალო ქრისტესიამ კარგა ხანს ძლივს მოიკრიფა ძალ-ღონე და შემდეგ შეკრთომით ჩაიბუტბუტა:

— სწორედ რომ სთქვას კაცმა, უცოლო ხართ, ბ-ნო მაიორო.

— მრუდედ რომ სთქვას, მაშინ-კი ცოლიან ვარ! სულელო! მრისხანედ შესძახა მაიორმა და ფეხ-აჩქარებით დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა. შემდეგ შედგა, კვლავ გადიკითხა დეპეშა და იფიქრა: რა ვქნა, შეცდომით ხომ-არ არის? არა, წოდება და გვარი დიდრონის, გარკვეულის ასოებით იყო ნაწერი: „მაიორს შნიცელს“. მთელს ლეიპციგში ამის მეტი არავინ იყო ამ გვარისა.

— ასეთი აზირებული ამბავი, ასეთი უსინიდისო ხუმრობაც გაგონილა! შესძახა მაიორმა: ვიპოვნი როგორმე ამ ალიაქოთის ამტეხს, ვიპოვნი და...

მაიორი თმებს იბურძგნიდა, აქეთიქით იქნევდა დეპეშას და გაშწარებული დარბოდა; უკან, ფეხ და ფეხ გამოყეყეჩებული ქრისტესია დასდევდა; ქრისტესიას არ ესმოდა, რა გასჭირებია ასე მაიორსაო, და მარტო იმის ცდაში იყო, რომ მაიორმა თავის გაცხარებითა და ხელების ქნევით არაფერი დაამტვრიოსო. ეს ორივე კაცი ამ დროს აზირებული და სასაცილო სანახავი იყო.

კარები გაიღო და დირეზედ გამოჩნდა აფიცერი, დიდად გაოცებულგაკვირვებული ამ სანახავით. რამდენსამე წუთს უძრავად იდგა სტუმარი, მერე უეცრად გადიხარხარა და გადიკასკასა. მაიორმა წარბი შეიკრა და გამწყრალი მიუბრუნდა.

— ჩქარა გაათავებ მაგ შენს ხითხითს? ჰკითხა გულ-მოსულმა და ქრისტესია-კი გარედ გააგდო: ადრევე გატყობინებ, ხუმრობის გუნებაზედ სულ არა ვარ.

მაიორის ამხანაგმა კაპიტანმა რიხ-

*) იხ. „ივერია“ № 259.

გაცთ გარდა დედაკაცნიც. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან „თეთრ წითელ ჯვრის“ საზოგადოებაში დედაკაცნი პირველობენ და შრომას არა ჰზოგავენ დაჭრილების მოსავლელად, უეჭველია უფრო მხურვალედ იმოქმედებენ იმისთანა საზოგადოებაში, რომელსაც აზრადა აქვს, რომ დაჭრილი და იარაღისაგან დასახიჩრებული კაცი აღარ იყოს.

შარშან, პარიჟის კონგრესზედ დიდი ამბავი მოახდინა ქალბატონის ბელვა ლოკვუდის სიტყვამ მშვიდობიანობის საჭიროების შესახებ. ეს ბელვა ლოკვუდი ის ადვოკატი-ქალია, რომელიც ჩრდილო-ამერიკის შტატებში პრეზიდენტობას ეძიებდა და კინაღამ გამარჯვებულიც დარჩა. მეორე ამერიკელმა ქალმა, კორა კენნედისამ ანდერძი დასტოვა და თავისი ქონება მშვიდობიანობის გასავრცელებლად გადასდო.

მართალია, ერთმანეთობა ევროპის სახელმწიფოთა ისეთია, რომ არავინ პირველად არ აიყრის იარაღს, მაგრამ მშვიდობიანობის მოყვარე საზოგადოებათ, თუ ცოტათიც არის შეასუსტეს მილიტარიზმი, ისიც დიდი საქმე იქნება.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** 30 ნოემბრის აქტს ტფილისის სასულიერო სემინარიაში გარდა ეგზარხოსისა და მაღალ სამღვდელოებისა დაესწრნენ: მთავარ-მართებელის მოადგილე, გრაფი ი. დ. ტატიშჩევი, დივიზიის უფროსი თ. წ. ამილახვარი, სინოდის კანტორის პროკურორი ს. ი. შირსკი, დ. ს. ს. მიცკევიჩი, დ. ს. ს. მილიუტინი; დირექტორი ტფილისის გუბერნიის საერო სკოლებისა ს. ს. დარსკი. ტფილისის გუბერნატორი დაესწრო მხოლოდ პარაკლისსა. აქტი დაიწყო სასულიერო საგალობლების გალობით და წლიურის ანგარიშის კითხვით.

ტფილისის სასულიერო სემინარიაში, როგორც სჩანს წლიურის ანგარიშიდგან, რომელიც წაიკითხა აქტზე სემინარიის რექტორმა მ. არქიმანდრიტ ნიკოლოზმა წარსულს საანგარიშო წელს სწავლობდა სულ 450 შეგირდი.

პირველ კლასის ორსავე განყოფილებაში იყო 108 შეგირდი, ორს განყოფილებაში მეორე კლასის—109, ორსავე განყოფილებაში მესამე კლასისა—75, ორსავე განყოფილებაში მეოთხე კლასისა—62, მეხუთე კლასში—58, მეექვსე კლასში—38.

ამათში 368 ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას, ხოლო დანარჩენნი ეკუთვნოდნენ 82—თავად-აზნაურთა, მოხელეთა და გლეხ-კაცთა წოდებას. ამათში გლეხ-კაცთა შვილები მეტნი იყვნენ. წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო სწავლა დასტოვეს 37 მოსწავლემ. მეექვსე კლასში სწავლა შეასრულა 38 მოსწავლემ, 19-მა პირველ ხარისხით და 19-მა—მეორე ხარისხით, ამათში ორნი გაგზავნილ იქმნენ სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯით.

ამ სასწავლო წლის დამლევს-კი სემინარიაში ითვლებოდა 462 შეგირდი. ამათში 34 რუსია, 157 იმერელი, 139—ქართლ კახელნი, 70—გურული, 40—მეგრელი, 14—ბერძენი, 3—ოსი, 2—ინგილო, ერთი სვანი, ერთი აფხაზი, ერთი უდინი, ერთი ფშაველი, ერთი ქისტი, ერთი ასურელ-ქალდეველი და ერთიც მოლდავანი.

წარსულს საანგარიშო წელს უსწავლებიათ მკურნალობა და ხატვა. მკურნალობა ბეჯითად უსწავლიათ მაღალ კლასების მოსწავლეთა დოქტორის მიშკინისაგან.

წელს-კი შემოუღიათ აგრეთვე სწავლება მაღალ კლასებში საქართველოს საეკკლესიო ისტორიისა თან [illegible] ისტორიიდამ. ამ საგნის სწავლება მიუნდვიათ პედაგოგიკის და საეკკლესიო ქართულის ენის მასწავლებელის თ. ჟორდანიასთვის.

რექტორმა მოიხსენია, რომ ზნეობით ტფილისის სემინარიის შეგირდები სხვა სემინარიის შეგირდებს არ დაუვარდებიანო, ზრდილობიანნი არიანო, თავაზიანნი, უფროსების პატივის-მცემელნი, ამხანაგობაში გამტანნი და სწავლაში ბეჯითნიო—მხოლოდ სიღარიბე იყო მიზეზი ზოგიერთების სწავლაში დაქვეითებისაო.

აქტის დროს სამი ხორო გალობდა სხვა-და-სხვა საეკკლესიო და საერო საგალობლებს. ქართულმა ხორომ ჩინებულად სთქვა რამდენიმე საერო სიმღერა. მეოთხე ხორო შემდგარი იყო ტფილისის სემინარიასთან დაარსებულის სამაგალითო სამრევლო სკოლის მოწაფეთაგან, მაგრამ ამათ არ უგალობნიათ, რადგან აქტი მეტად გაგრძელდა.

მასწავლებელმა ა. პ. ალპოვმა წაიკითხა წერილი: „Психическая жизнь Лермонтова“ და მესამე კლასის შეგირდმა ნამორაძემ ჩინებულად წარმოსთქვა თვისი ლექსი „პატივად საქართველოს ეგზარხოსისა, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის.“

აქტი გათავდა ჯილდოების დარიგებით. დაჯილდოვებულ იქმნენ 39 უკეთესნი შეგირდნი. პირველი ჯილდოები მიიღეს: VI კლ. მოწაფემ მ. ჩოლოყაძემ, V კლ. ე. მამინაიშვილმა და ბ. ყასაბიევმა, IV კლ.—ნ. ლავანოვმა, III კლ. კ. ინგოროყვამ, II კლ.—გ. კუტალიამ, I კლ.—კ. ინგოროყვამ.

ქართულ გალობის კარგად ცოდნისათვის დაჯილდოვებულ იქმნენ: ლოტბარი ი. ჩიჯავაძე, ი. მონადიროვი, ი. შაველიევი, ბ-ნი მაისურაძე; ს. სენნიევი, გ. ლაზარევი, დ. ვარდიევი, კ. დათაძე, ნ. მრევლოვი, ა. ციხისთოვი, მ. ოქროპირიძე.

*** 4 დეკემბერს საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადი“. მშვენიერად შეასრულა როლი და უფრო მშვენივრად მღეროდა მთელს საღამოს ბ-ნი კოშიცი. მისმა ნაზმა და ნარნარმა ხმამ მოჰხიბლა მაყურებელი საზოგადოება. განსაკუთრებით კარგათ მოუვიდა მესამე მოქმედების დუეტი, რომელიც [illegible] ერთად. კარგად მღეროდა უკანასკნელიც და სრულიად არ ეტყობოდა, რომ ოთხი დღე ავად იყო ეს არტისტი ქალი. როგორც ყოველთვის მშვენივრად მღეროდა და თამაშობდა ბ-ნი გორდი. არა უჭირდა-რა აგრეთვე პაპოვის ქალს. ბ-ნ როზირატოს, თუმცა ეტყობოდა დაღლილობა ხმისა, არსად არ წაუბორძიკნია და სარკის წინ სათქმელი არია გაამეორებინეს. თეატრის დირექცია ძალიან ცუდად იქცევა, რომ ბრონის ქალს რიგიან როლებს არ აძლევენ. ამ არტისტ ქალს ხმაც საამოვნო აქვს და თამაშობაც ეხერხება.

*** მომავალ წელს მაისში ქალაქ ვენაში (ავსტრი-ვენგრიაში) შეიკრიბებიან რკინის-გზების წარმომადგენელნი. ამ კრებამ უნდა განიხილოს ახალის ჯურის ორთქლით მატარებლების შემოღება. ამ კრებაზე ამიერ-კავკასიის რკინის-გზის მმართველობას უნდა თავის ხარჯით გაჰგზავნოს რკინის გზის ლიანდაგის და შენობათა შესაკეთებელ კანტორის უფროსი ინჟენერი ბ-ნი პუშეჩნიკოვი.

*** როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ურიების მიერ ქრისტიანობით მიღების გამო ახალი წესი უნდა იქმნას შემოღებული. ამ წესის ძალით ცოლ-შვილიან ებრაელს მარტო თითონ არ შეუძლიან მოინათლოს და მიიღოს ქრისტიანობა. მონათვლა ებრაელს შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ცოლ-შვილიც ისურვებენ ქრისტიანობის მიღებას. ეს წესი უნდა დაიდოს ამ ახლო ხანში, რათა ებრაელნი მონათვლით არ ატყუებდნენ ადმინისტრაციას და არა სცხოვრობდნენ იქ, სადაც აკრძალული აქვთ ცხოვრება.

*** გათავება კენჭის ყრისა დანარჩენ 14 ხმოსანის ასარჩევად დანიშნულია კვირას, 9 დეკემბერს. 14 მაგიერ კენჭი უნდა ეყაროს 28 კაცს, რომელთა სახელი და გვარი გუშინწინდელს ნომერში გვქონდა მოყვანილი. იმ სიაში მხოლოდ ერთი კანდიდატი გვქონდა გამოტოვებული, სახელდობრ თ. გ. ს. ციციშვილი.

*** მგელი-სენაკი: კვირას, 2 დეკემბერს აქაურ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა გადიხადეს პანაშვიდი განსვენებულის კნ. ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძის მოსახსენებლად. პანაშვიდზე გალობდა სკოლის მგალობელთა გუნდი.

*** ცხინვალი: 23 ნოემბერს აქაურმა ებრაელებმა რაღაც მიზეზის გამო ძალიან სცემეს ორ აზნაურიშვილთ, გვარად იშ—ებს. არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე დღე, რომ ცხინვალს ახლოს ერთი ებრაელი დასჭრეს ხანჯლით, წაართვეს ცხენი და ბოხჩები, რომელშიაც სავაჭრო ფარჩა იყო. ამბობენ ებრაელი ისეა დაჭრილი, რომ აღარ მორჩებაო. არავინ იცის ჯერ-ჯერობით, ვინ არიან იმისი დამჭრელნი და გამძარცველნი.

*** 4 დეკემბერს შამქორისა და განჯის სადგურს შუა ვაგონში ძილის დროს ვიღაც ავაზაკებს ამოუცლიათ ჯიბიდამ მახვილაძისათვის 250 მან. ფულად და სხვა-და-სხვა თამასუქები 1000 მანათისა. („Тиф. Лис.“)

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ამ დღეებში ჩამოვიდნენ მარსელიდამ ტფილისში რამდენიმე წარმომადგენელი საფრანგეთის ვაჭრისა, რომელსაც აზრად აქვს საფრანგეთის ზოგიერთს ქალაქებში ჰყიდოს კახური ღვინოო. წარმომადგენელნი მისნი ამბობენ, რომ ჩვენ უნდა ვიყიდოთ ხოლმე ღვინო კახეთში, ვგზავნოთ საფრანგეთს და იქ ვყიდოთ ზოგი ისე, როგორც აქ აყენებენ და ზოგიც იქაურად გაკეთებულიო. ეს წარმომადგენელნი გუშინ გაემგზავრნენ კახეთს.

*** სამს ამ თთვისას, ღამის თორმეტს საათზე, პოკროვის მეიდანზე, ყარამან დანიელოვის სადგურიდგან მოიპარეს სამი ზამთრის პალტო, ღირებული 105 მან. ქურდი ჯერ არ უპოვნიათ.

*** დეკემბრის 4, ნაშუადღევის 4 საათზე, ნავთლუღში ქუთაისის მცხოვრებელის ესტატე წვერავას სადგურში, მშობლების შინ არ ყოფნის დროს, ბუხრიდგან ცეცხლის ალი მოხვდა წლინახევრის ქალს მარიამსა და დაიწვა.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ნება მიბოძეთ, ბატონო, თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ს. კახის ბლაღოჩინს, მამა იოანე ბარნაბიშვილს, რომელმაც შემოსწირა ს. კახის დედათა სამრევლო სკოლას ჟურნალი „ჯეჯილი“ მთელის წლისა.

კახის დედათა სკოლის მასწავლებელი
მარიამ მახარაძე

### II

გიგზავნით ხელის მოწერით შეგროვებულს წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ ორმოცდა-ოთხს მანეთს (44 მ.) და ამა ფულის შემამწირველთა სიას. გთხოვთ ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ, ხოლო სია დაბეჭდოთ თქვენს

---

ტერმა სიცილი ძლივ-ძლივობით შეიმაგრა, გონებაზედ მოვიდა და უპასუხა:

— დაიცა, რასა ჯავრობ. მოვედი აქ, რომ მომეპატიჟნე, წავიდეთ, ცხენით გავისეირნოთ სადმე-მეთქი, და რა სურათს წამოვაწყდი: გამძვინვარებულს ვეფხვსავით დარბიხარ ოთახში და საწყალი ქრისტესიაც უკან დაგდევს ხელების მტვრევით. მერე მომიბრუნდი და ისეთი მკვახე სიტყვები მომახალე, რომ, ჩემი საუკეთესო მეგობარი რომ არ იყო, ასე იაფად არ ჩაგიტარებდი.

— მართალს ამბობო, მორბილებითა და აღმოხვრით უთხრა მაიორმა: შემინდობ, რომ შეიტყო, რა უსიამოვნო ამბავი დამემართა დღეს. ღმერთს გეფიცები, მეტის-მეტად გულკეთილი და გულ-მშვიდი კაციც რომ იყოს, ისიც-კი მოთმინებიდგან გამოვა. აი, წაიკითხე!

შნიცელმა დეპეშა გაუწოდა რიხტერს.

— ჯერ ერთი დეპეშა წაიკითხე ხმამაღლა და ამიხსენი: გავგიჟებულვარ, თუ აქ სხვა რამ ამბავია?

კაპიტანმა შემდეგი ამოიკითხა:

„მაიორ შნიცელს. ლეიპციჰს. უბედურება მოხდა რკინის გზაზედ. თქვენი მეუღლე დაშავებულია. ჩქარა მოდით. პროფესორი როდიცი“.

მაიორი სახტ-წარკვეთილი გადავშვა სავარძელზედ. კაპიტანს გაოცებისაგან ხელიდგან დეპეშა გაუვარდა.

— მერე, არ მისწერე, რომ შეცდომა უნდა იყოს-რამეო?

— როგორ არა, პასუხად შევუთვალე: „რკინის გზაზედ მომხდარ უბედურების ამბავი შეცდომით არის ჩემს სახელზედ გამოგზავნილი“ მეთქი. და აი ეხლა კიდევ რა შინაარსის დეპეშა მივიღე, წაიკითხე

„შეცდომა შეუძლებელია, რადგან თვით თქვენმა მეუღლემ შეგვატყობინა თქვენი ადრესი“.

— მართლაც რომ ვერაფერი ხუმრობაა, სთქვა კაპიტანმა.

— ხომ ჰხედავ! შენც ჩემსავითა ხარ განა გაოცებული! მოდი და ჰკუიდგან ნუ შეიშლება ადამიანი. ვინ არის, ჩემს ცოლობას რომ იჩემებს? ეს პროფესორი როდიცი ვიღა ოხერია?

— არ ვიცნობ, თუმცა ეგ სახელი სადღაც გაზეთებში ამომიკითხავს.

— კარგი, მაგრამ საიდგან მოიგონა მაგ პროფესორმა, რომ ცოლიანი ვარ?! რა უფლებით ჩამციებია, რომ გინდა თუ არა მოდი შენს ცოლთანაო? გაგონილა ამისთანა ამბავი!

მართალია, რაღაც გამოცანა იფარავს აქ თავს, გულ-ახდით მითხარ, განს, წარსული შენი არაფრით ხომ არ არის შებღალული? იქნება შენი უწინდელი რომელიმე ახლო ნაცნობი ქალია და ეხლა შენს ჯავრს იყრის, განგებ იჩემებს შენს ცოლობას.

— არა, არა, ეგ შეუძლებელია. ჩემი ცხოვრება ხომ კარგად იცი. ერთი ქალი მიყვარდა, მინდოდა კიდეც იმის შერთვა, მაგრამ უარი მითხრა და მას შემდეგ ფიქრადაც აღარ გამიტარებია ცოლის შერთვა. ჩემს დღეში არც ერთს ქალთან არა მქონია რაიმე კავშირი.

— თუ აგრეა, პირდაპირ შეუთვალე მაგ პროფესორს, მე ცოლი არა მყავს და ამიტომ არც წამოვალ-თქო.

— პირველში მეც ეგრე გადავწყვიტე, მაგრამ შემდეგ, როცა კარგად ავწონ-დავწონე საქმე, იმ აზრს დავადგი, რომ უეჭველად უნდა წავიდე-მეთქი. დაჭრილ-დაშავებულია ქალი, იქნება სულთ-მობძავიც... იმას უჩვენებია ჩემი ადრესი. თუმცა შევუთვალე პროფესორს როდიცს, რომ შეცდომა იქნება რამ-მეთქი, მაინც დაუჟინია,—ცოლია შენიო. რას უნდა ჰნიშნავდეს ეს ამბავი? ვინ არის, ჩემს ცოლობას რომ იჩემებს? როდიცმა რად მომწერა ეს დეპეშა? ამ გამოცანას ახსნა უნდა და უეჭველად უნდა გამოირკვეს...

— მართალს ამბობ. უნდა წახვიდე, მეტი გზა არ არის. იქნება ის უბედური დედაკაცი იძულებულია დაჰფაროს თავისი ვინაობა და შენ მოგმართავს, რომ დაიხსნა როგორმე ამ გაჭირვებიდგან.

— ადვილად შესაძლებელია, თუმცა არაფრად სასიამოვნო-კი იქნება, თუ ეგრეა. ეს ვიღაცა ქალი იმას აღარა ჰფიქრობს, რომ ასეთის სიცრუით რა ხათაბალას მიტეხავს და რა ბიაბრუობას მაყენებს: უცოლო კაცს ცოლიანადა მხდის და უმიზეზოდ მიბარებს თავისთან. იქნება ვისმე ჩემი თავის მოჭრა უნდა, ჩქარა უნდა მოეღოს ბოლო ამ ბოროტს განზრახვას. არა, უეჭველად უნდა წავიდე. ოღონდ ჩქარა-კი დამითხოვდნენ-და...

— ეგ ადვილი მოსახერხებელია. ეს არის ეხლა შევხვდი პოლკოვნიკს, ყაზარმაში მიდიოდა. წადი და სთხოვე ორიოდე დღით დაგითხოვოს. მატარებელი ერთს საათს შემდეგ გადის, ნახევარ საათს მიხვალ იმ სადგურამდე სადაც ავადმყოფი წევს. ნახვამდის!

მეგობრები გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. მრისხანე ხმით დაუძახა მაიორმა ქრისტესიას და მომზადება უბრძანა. საბრალო ქრისტესია პირგამშრალი იდგა და ვერა ეთქვა-რა. მიდიოდა თავის ბატონისათვის ეტლის მოსაყვანად და თან იმასა ჰფიქრობდა, რომ ძალიან დიდი გაბედულობაა მაიორის მხრივ ბოროტი ხეტიალი და ჩემი სახლში დატოვებაო.

თრ-ანი

(დასასრული იქნება)

პატივცემულს გაზეთში შემომწირველთა საცნობლად.

აი სია: ნეონილა ი. ფხაკაძისამ 5 მ., კონსტანტინე ერ. ბარძიმიშვილმა 5 მ., ანტონ ო. თუალქრელიძემ 5 მ. ნ. ა. ტ—ძემ 10 მან. სოლომონ ივ. სალამბეკმა 3 მან. ვასილ სოლ. ისტამანოვმა 3 მან. ა. ლ. ხმალაძემ 3 მ. იოსებ ლ. ლაღაძემ 2 მან. მღვდელმა ნიკოლოზ კოკაშვილმა 1 მან. დიმიტრი ი. ინაშვილმა 1 მან. ივანე დ. ფხაკაძემ 1 მან. ალექსანდრე სტ. ამირაგოვმა 1 მან. ნიკოლოზ ბაღდასარის ძემ ბაირამოვმა 1 მ. არტემ მ. ტერ-გრიქუროვმა 1 მან., წყალობა გრ. ერმაკოვმა 1 მან., ვასუა სელევანოვმა 50 კაპ. და ივანე ილიჩმა მესამემ ვენეციანოვმა 50 კაპ.

ნეონილა იოსების ასული ფხაკაძისა
24-ს გიორგობისთვეს 1890 წ.
ქ. სტავროპოლი

## სიტყვა იმპერატორის ვილჰელმისა სწავლა-განათლების შესახებ.

(დასასრული*)

„დავუბრუნდეთ ისევ სასწავლებლებისა და, კერძოდ-კი, გიმნაზიების საქმეს. კარგად ვიცი, რომ ზოგიერთს წრეში გიმნაზიის განათლების დაუძინებელ მტრადა მთვლიან და ხშირად ჩემის სახელით სარგებლობენ, რომ სხვა სახის სასწავლებელს, სხვა წესს სწავლისას უფრო მეტი მომხრე მოუპოვონ. ასე ჰგონიათ, მაგრამ ნამდვილად-კი ასე არ არის, მოწყალეო ხელმწიფენო. ვისაც თავად უსწავლია გიმნაზიაში და იცის მისი შინაგანი ვითარება, იმას ამ გიმნაზიის სწავლის ნაკლიც კარგად ესმის. უპირველესი ნაკლი ის არის, რომ სწავლა საეროვნო საფუძველზედ არ არის დამყარებული. გიმნაზიის პროგრამის ქვაკუთხედად უეჭველად ის უნდა იყოს, რაც გერმანიას შეეხება რითიმე. ჩვენ ახალგაზდა გერმანიის მამულიშვილნი უნდა აღვზარდოთ და არა ჭაბუკი ბერძენნი და რომაელნი. ხელი უნდა ავიღოთ, მოვიშოროთ როგორმე თავიდგან მთელს საუკუნეებს გამეფებული და შუა საუკუნეების დედა-აზრებით დასაბუთებული წესი მონასტრულის სწავლებისა, ის წესი, რომლის დროსაც მთავარი ადგილი ლათინურსა და ცოტა ბერძნულს ენასა აქვს დათმობილი. ეს წესი უნდა შეიცვალოს და სამირკვლად სწავლას გერმანული ენა გაუხდეს. გერმანული ენა უნდა იყოს ღერძი და ყველაფერი ამ ღერძს გარშემო უნდა ტრიალებდეს. თუ მოსწავლემ გამოცდის დროს უნაკლულოდ დაწერილი გერმანული თხზულება წარმოგვიდგინათ, ამ თხზულების გამოჩენილ უნარის კვალობაზედ უნდა დაედოს ფასი იმის გონებრივს განვითარებას და ამის კვალობაზედ უნდა განისაჯოს, კარგა რამე ეს ჭაბუკი, თუ არა. რასა თქმა უნდა, ამ ჩემს აზრს ბევრი ეწინააღმდეგება და იტყვის, რომ ლათინურს თხზულებასაც მნიშვნელობა აქვს, იგი ეხმარება კაცს სხვათა ენის შესწავლასაო. და სხ. და სხ.

„დიაღ, მოწყალენო ხელმწიფენო, უეჭველივე ეს ჩემს თავზედვე გამოვცადე. მერე როგორ იწერება ეს ლათინური თხზულება? მე თვით ბევრჯელ ვყოფილვარ მოწმე, რომ მოსწავლემ გერმანულის თხზულებისათვის 4 მიიღო, ლათინურისათვის-კი—2. ქების მაგიერ მოწაფე გაჰკიცხეს, მხოლოდ იმიტომ, რომ კანონიერად არ შეედგინა ლათინური თხზულება და რიგიანად-და ეხელმძღვანელნა. ლათინურს თხზულებათა შორის-კი ძნელად თუ თორმეტი მაინც არის იწერებოდეს ისე, რომ ნასესხები, ნახელმძღვანელები არ იყოს საიდგანმე. ასე ვწერდით ხოლმე ყოველთვის ლათინურს თხზულებას, ხოლო თუ გიმნაზიაში „მინნა ფონ-ბარნჰელმის“ შესახებ უნდა დაგვეწერა რამე ყოველთვის უკეთ ვწერდით და ყოველთვის მოსწონდათ ეს ნაწერი მასწავლებლებს. კიდეც ამიტომ გავიძახი: შორს ჩვენგან ლათინური თხზულება! ეს თხზულება ხელს გვიშლის, გვიცარავს, იმის წყალობით დროსა ვკარგავთ, იმ დროს, რომელიც გერმანულ თხზულების შესწავლას უნდა მოხმარდეს.

„ამას გარდა ის არის კიდევ საკვირველი, რომ ამიერიდგან დიდი ყურადღება მიექცეს ყოველსავე ეროვნულს—ჩვენის ერის ისტორიას, ჩვენს გეოგრაფიასა და ზნეობ-გარდმოცემათა. სწავლა ჯერ ჩვენის საკუთარის სახლიდგან დავიწყოთ და როცა ყოველსავე მის ოთახს შევისწავლით კარგად, მაშინ გავყვეთ, შევიდეთ მუზეუმში და ახლა ის დავათვალიეროთ. უპირველეს ყოვლისა-კი ჩვენის ქვეყნის ისტორია უნდა შევისწავლოთ. როცა მე ვსწავლობდი, დიდებული კურფიურსტი ჩემთვის გამოცანა იყო, ჯანღითა და ბურუსით მოცული. შვიდ წლისეული ომი უკვე საკმაოდ განიხილეს და ისტორია წარსულ საუკუნეში საფრანგეთის რევოლუციის ომით დამთავრდა. განთავისუფლებისათვის გარდახდილს ომებს, რომლის ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყმაწვილ-კაცობისათვის, არა ვსწავლობდით და მეც, ჩემდა საბედნიეროდ, მხოლოდ მაშინ შევისწავლე ეს ომნი და ბრძოლანი, როცა ჩემმა მასწავლებელმა ჰინცპეტერმა საინტერესო ლექციები წამიკითხა ამ საგნის შესახებ. ჰო-და აბა მეც აქა ვარ, აი. გზას რად უბნევან ჩვენს ყმაწვილკაცობას? რად გვინდა ამდენი ნისლ-ბურუსით მოცული ქვეყნიერობის მწვრთნელი და მასწავლებელი? რისაგან არის, რომ ყოველთვის ჩვენს მთავრობასა ჰკიცხავენ და უჩივიან, რომ მაგალითად უცხო სახელმწიფონი გქონდეს, იმათ მიჰბაძეო. იმისაგან არის, რომ ჩვენმა ახალგაზდობამ არ იცის, რა გზით განვითარდა ჩვენი წეს-წყობილება, არ იცის, რომ ყოველსავე სათავე საფრანგეთის რევოლუციის ხანადგან გამოება. კიდეც ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, სადად და ობიექტიურად რომ აეხსნას და განემარტოს ჩვენს ყმაწვილ კაცობას საფრანგეთის რევოლუციისა და ამ მე-XIX საუკუნეში გადადგომის ამბავი, სულ სხვაფრივ შეჰხედავენ საქმეს და ჩვენს აწინდელს ვითარებას უკეთ შეიგნებენ. მაშინ შეძლება მიეცემათ, რომ თავისი ცოდნა უფრო განიუკეთესონ და განიფართოვონ უნივერსიტეტში ლექციების მოსმენით.

„რაც შეეხება სასწავლო დროს, უეჭველად უნდა შემოკლდეს და შემცირდეს ეს დრო. ჰინცპეტერს უეჭველია ეხსომება, რომ სწორედ იმ დროს, როცა კასსელის გიმნაზიაში ვიყავ, გაისმა დრტვინვა მშობლებისა, რომ სწავლის წესი უნდა შეიცვალოსო. კიდეც ამიტომ მთავრობა ამ საგნის გამოკვლევას შეუდგა: ვალდებულნი ვიყავით, რომ ჩვენის დირექტორისათვის ყოველთვის შეგვეტყობინებინა ხოლმე: სახლში წინა დღის გაკვეთილების მზადებას რამდენი ხანი და დრო მოვანდომეთო. მე აქ მხოლოდ უფროსს კლასის ციფრებს მოვიხსენებ, იმ ციფრებს რომელიც, სხვათა შორის, ჰინცპეტერსა ეხლა აქვს შემოწმებული: აღმოჩნდა, რომ გაკვეთილების სახლში მომზადებას სჭირდებოდა $5^1/_2$, $6^1/_2$ და 7 საათი. ამდენს ვშრომობდით ის მოწაფენი, რომელნიც სწავლას ვასრულებდით; თუ ამას დავუმატებთ ექვსი საათი, რომელსაც თვით გიმნაზიაში ვამდომებდით სწავლას, და ორი საათიც სადილობის ვადა, ადვილად მიხვდებით, დღე ღამეში რამდენს ხანს ვიყავით განთავისუფლებულნი. ცხენით რომ არ მევლო და თითო-ოროლაგან რომ წავსულიყავი ხოლმე, სულ ერთიანად გამოვეთიშებოდი და ქვეყნის ავკარგიანობისას ვერა-რას გავიგებდი. რაც უნდა იყოს, ასე შებოჭვა და შეწუხება ყმაწვილებისა შეუძლებელია. ჩემის აზრით, უმცროსს კლასებშიაც-კი უნდა შემცირდეს ხანი სწავლისა. ასე ვერ დავტოვებთ ამ საქმეს: სიმი მეტად არის გაჭიმული და მისი უფრო გაჭიმვა და ისე თავის დანებება შეუძლებელია. საზღვარს უკვე გადავაბიჯეთ და ახლა ცოტა უკან უნდა დავიწიოთ. გიმნაზიებმა იმდენი ცოდნა მოიკისრეს თავს, რამდენსაც ვერც ერთი ადამიანი და ვერც თვით ერი აიტანს. ამ მხრით სრული ჭეშმარიტებაა თ. ბისმარკის მიერ წარმოთქმული სიტყვა იმ პროლეტარიატის შესახებ, რომელიც გიმნაზიაში სწავლას ამთავრებს. ყველა ესრედ წოდებული ჯუჯ-ცალიერნი და კერძოდ ბატონი ჟურნალისტები, ყველა ესენი უმეტეს შემთხვევაში სწავლა-დაუმთავრებელნი და ამით ბედ-დაჩაგრულნი გიმნაზიის მოწაფენი არიან, ჩვენთვის ფრიად საშიშარნი, ფრიად საფრთხილონი. ბოლო უნდა მოეღოს როგორმე ნასწავლთა ასეთს მრავალ-რიცხოვნობას, ასეთს გადამეტებას. ამიტომ ამიერიდგან აღარ დავრთავ ნებას გიმნაზიის დაარსებისას, ვიდრე ნათლად არ დამიმტკიცებენ, რომ დიდად საჭიროა. გვეყოფა, გვმარა.

„ეხლა საქმე იმაშია, რა გვარად უნდა დავაკმაყოფილოთ სურვილი უმეტესობისა, როგორ გავაუქმოთ კლასიკურ და რეალურ სწავლა-განათლების წესის შეცვლისა და სამხედრო ბეგარის შეღავათის საქმე. ჩემის აზრით ეს საგანი ადვილად გადაწყდება, ასე რომ დავადგინოთ: დღეს ამიერიდგან კლასიკური გიმნაზიები არსებობდეს კლასიკურის განათლებით და რეალური სასწავლებლები რეალურის განათლებით, ხოლო რეალური გიმნაზიები-კი მოისპოს. რეალური გიმნაზია რაღაც განსხვავებულ სასწავლებელსა ჰგავს და იქ ნასწავლ ყმაწვილ-კაცობაც თითქო განსხვავებულია მთელს სიცოცხლეს და სრულს არას წარმოადგენს.

ამ საგანთან შეერთებულია მეორე, ჩემ მიერ დასახელებული საგანი, სახელდობრ ისა, რომ სასწავლო საგნები შემცირებულ უნდა იქმნას და ეგზამენებიც ისეთი რთული არ იყოს, როგორიც ეხლაა. გრამმატიკა რომ გამოტოვებულ იქმნას და უფროსს კლასების მოსწავლეებს აღარ ასწავლიდნენ, დანარჩენ ქვემო ორს უმცროსს კლასში რომ გადმოიტანონ, მაშინ შესაძლებელი იქნება უფროსს კლასების ეგზამენთა დაერთოს ადვილად შესასვლელ იუნკრის ეგზამენიც, ისე-კი, რომ შემდეგ ამ ყმაწვილ-კაცებს ასეთის ეგზამენის დაჭერა არ დასჭირდეთ. რაკი ამ გვარად შეიცვლება ეგზამენები და სწავლა გაადვილებულ იქმნება, მაშინ ხასიათის შემუშავებასაც ჯეროვანი ყურადღება მიექცევა. ამ ჟამად-კი ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგან კლასში 30 მოწაფე და იმათაც დიდი მუშაობა, დიდი შრომა სჭირდებათ. ამას გარდა ხშირად მასწავლებლებად ისეთნი არიან დანიშნულნი, რომელთაც თავისი საკუთარი ხასიათიც არა აქვთ ჯერ შემუშავებული. აქვე დავასახელებ ბ-ნ ჰინცპეტერის მიერ ნათქვამს აფორიზმს: „ვინც სხვის აღზრდას არის მოწადინებული, ჯერ თითონ უნდა იყოს აღზრდილიო“, ეს აფორიზმი ეხლანდელს მასწავლებლებზედ არ ითქმის. თუ გვინდა შესაძლებელი გახდეს აღზრდა ყმაწვილისა, კლასები ისე აღარ უნდა იყოს გაჭედილი მოსწავლეებით, როგორც ეხლა არის,—ეს-კი მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი თუ იმ გზას დავადგებით, რომელიც ეს არის ეხლა დავასახელე, ამას გარდა უნდა უარ-ვყოთ ეხლანდელი წესი, წესი, რომლის დროსაც მასწავლებელი მხოლოდ იმისთვის არის, რომ დღე ყოველ გაკვეთილები აძლიოს და ამითი მოიშოროს თავიდგან მოვალეობა. რაკი სასწავლებელი ასე დიდის ხნობით აცლის, აშორებს ყმაწვილს ოჯახს, იმისი აღზრდაც თითონ უნდა იკისროს და ითავოს. თუ ყმაწვილობითვე აღზრდით მოსწავლეებს, სწავლის გათავებისას, ისეთნი აღარ იქმნებიან, როგორნიც ეხლა არიან. დასასრულ უნდა უარ-ყოფილ იქმნას ის აზრიც, ვითომ ცოდნაა რაც არის და ცხოვრება-კი არაფერიაო. ყმაწვილი კაცი ეხლანდელ პრაქტიკულ ცხოვრებისათვის მომზადებული უნდა იყოს.

„მე დაწერილი მაქვს რამდენიმე ციფრა, სტატისტიკის მხრით საყურადღებო. პრუსიაში 308 გიმნაზია და პროგიმნაზიაა, რომლებშიაც 80,979 მოწაფე სწავლობს; 172 რეალური გიმნაზია და პროგიმნაზიაა და 34,465 მოწაფე სწავლობს და 60 უმაღლესი რეალური სასწავლებელი ულათინურ ენოდ, ამათშიაც 19,893 მოწაფეა. გიმნაზიებში ერთს წელიწადს ჯარში სამსახურის უფლება მიენიჭა 68%, რეალურს გიმნაზიებში—75% და რეალურ სასწავლებლებში—38%. სწავლის დასრულების მოწმობა მიეცათ გიმნაზიებში 31%, რეალურ გიმნაზიებში—12%, რეალურ სასწავლებლებში—2%. ყოველი მოსწავლე იძულებულია 25,000 საათი იშრომოს და 657 საათს თავისუფალი იყოს, ამ რიცხვში გიმნასტიკის გაკვეთილებიც რომ ჩავთვალოთ. ამდენს გონებრივს მუშაობას ძნელად აიტანს ადამიანი და უეჭველად უნდა შემოკლდეს. თორმეტისა, ცამეტისა და თოთხმეტის წლის ყმაწვილები კვირაში 37 საათამდე ჰმუშაობენ. ჩვენ უკვე დავაჟკაცებულნი ვართ, ბატონებო, მაგრამ ამდენ ხანს ჩვენც ვერ ვიმუშავებთ. თუ მოწაფეთა ავადმყოფობის სტატისტიკურს ცნობებს მივაქციეთ ყურადღება, აღმოჩნდება, რომ ბეცები მეტად ბევრნი არიან. იფიქრეთ, რა თაობა გვეზრდება სამშობლოს დასაცველად! მე ჯარის-კაცებს ვეძებ, ღონიერ, ჯან-საღი თაობაა ჩვენთვის საჭირო, რომ სულიერი მეთაურობა გაუწიოს ქვეყანას და ეს თვალის სინათლეს მოკლებულნი, ბეცნი-კი არაფრისთვის არ არიან გამოსაყენებელნი. ვისაც თვალით არ უჭრის, აბა ის რას გაგვიკეთებს. სწავლა-დასრულებულთა შორის ხანდახან 74% ბეცია. მე თვით ვიყავ დამსწრე, რომ კასსელის გიმნაზიაში თუმცა კარგი, ნათელი, წმინდა ჰაერიანი ოთახი გვქონდა, დედიჩემის სურვილისამებრ მოწყობილი, მაინც 21 შეგირდ შორის 18 სათვალეებს ატარებდა და ამ სათვალებიანებშიაც ორი იმასაც-კი ვერ არჩევდა, რაც დაფაზედ იწერებოდა. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს და ამიტომ აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ სემინარიაში ჰიგიენასაც ასწავლიდნენ და რომ ყველა მასწავლებლებმა გიმნასტიკა იცოდეს.

„ასეთია, ბატონებო, ჩემი აზრი, და გარწმუნებთ, რომ თუმცა შარშან პატივცემულმა ჰინცპეტერმა გამოაცხადა,—ჩვენს მამებს, ყმაწვილების აღზრდის საქმეში ხელი არა აქვთო, მაინც დიდძალი წერილები მომივიდა ყმაწვილების მშობლებისაგან და მთხოვენ როგორც საერთო მამას ქვეყნისას, რომ ჩავერიო ამ საქმეში, ბოლო მოუღო როგორმე ასეთს მდგომარეობას. ბატონებო! მამაკაცები ქვეყანას საკუთარის თვალით უნდა შესცქეროდნენ, და არა სათვალეებით, და უნდა უყვარდეთ თავისი სამშობლო და ამ სამშობლოს დაწესებულებანი. აი, სწორედ ამ მხრით უნდა განკარგდეს საქმე და ამ განკარგებას უნდა დაეხმარნეთ და წამალი დასდოთ რამე“.

*) იხ. „ივერიის“ №№ 258 და 259.

## რუსეთი

სასოფლო მეურნეობის დახმარების აზრი ლამის არის განხორციელდეს. ამის შესახებ ბევრი სასიამოვნო ამბავი მოდის რუსეთის სხვადა-სხვა ადგილებიდგან. ჯერ ერთი რომ თვით მთავრობამ წინადადება მისცა საბირჟო კომიტეტებს: 1) ჰინახულის კლასსიფიკაცია—ხარისხის დაგვარად დაყოფა—შემოიღოთ, როგორც საზღვარ-გარედ გასაგზავნ ჰინახულისთვის ისე რუსეთის შინა ვაჭრობისათვისაცაო, 2) ნავთსადგურებში დააყენოთ სახელმწიფო ზედამხედველები, რომ გასაგზავნ ჰინახულის ავკარგიანობას თვალ-ყური ადევნონ და ერთხელვე მიღებულს ხარისხზე უმდარესი არ გაუშვან საზღვარ გარედაო; 3) ბაზრებსა და ბირჟებზედ ყოველ წლივ ახალ-ახალი ფასები გადაუწყვიტოთ თვითოეულის ხარისხის ჰინახულსა და 4) აგრეთვე ჰინახულის ხარისხის დაგვარად დაყოფაც ხელ-ახლად მოეახდინოთ ხოლმეო. რიბინსკისა, ნიჟეგოროდისა, სამარისა, სარატოვისა და ბევრის სხვა ადგილის ბირჟებმა ის პასუხი მისცეს ფინანსთა სამინისტროს ამ წინადადებაზე, რომ მაგ წესების შემოღება დიდად სასარგებლო იქნება ჩვენის სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობისათვის და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შემოიღოთო.

ამ განზრახვის განხორციელება რუსეთში მთავრობის მხრივ პირველი ნახმარი ღონისძიება იქნება ჰინახულით ვაჭრობის განსაწესრიგებლად და ამას იმედია, ბევრი სხვა უკეთესი მოჰყვება. წურბელა ვაჭრებს ვერაფრად ეპაშნიკებათ ეს ამბავი, ნება-უნებურად იძულებულნი შეიქმნებიან ჰინახულის გამყიდველების მოტყუებასა და ძარცვა-ყვლეფაზე ხელი აიღონ, რადგან ყოველივე ღონის-ძიება მოესპობათ ჰინახულის ფასის მომატებ-დაკლებისა, განგებ დაფულავებისა და სხვ.

ამას გარდა ერთის ამ გვარისავე ამბის ხმაც გამოვიდა. ფინანსთა სამინისტრო აპირობს თურმე სესხის აღებას სამეურნეო იარაღებისა და მანქანების სასყიდლად რუსეთის მექარხნეთაგან. თუ გამართლდა, ეს საქმე ორგვარად სასარგებლო იქმნება: ჯერ ხომ თვით მეურნეობას გააძლიერებს და განავრცობს და მეორეც ასე თუ ისე რუსეთში სამეურნეო იარაღების კეთება—მზადებასაც ხელს შეუწყობს. რომ ეს დახმარება მართლა კეთილს საქმეს ე. ი. სამეურნეო იარაღების განვრცობას მოხმარდეს და უბრალოდ არ ჩაუვარდეთ ფული მექარხნეებს, ამიტომ სამინისტრო ზედამხედველებს

დააყენებს, რომლებმაც უნდა გასინჯონ ხოლმე იარაღები და თუ მოიწონებენ, მხოლოდ მაშინ მისცენ სესხი მათს შესაძენად. აშკარაა, ასეთის წეს-წყობილების შემოღება დიდს სარგებლობას მოიტანს. მაგალითიც თვალ-წინა გვაქვს: ოც-და-ათსიანს წლებში პოლშაში სწორედ ეს წესები შემოიღეს, ცალკე ბანკი დაიარსეს, რომ სესხნი გაეცათ სამეურნეო იარაღების შესაძენად და ეხლა იქ დიდი თუ პატარა მემამულე და მხვნელ-მთესველი განკარგებულის წესით უვლის და ჰმუშაობს თავისს მამულს. თუ ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც სამინისტრო აპირობს, მაშინ საზღვარ-გარედგან შემოტანილს სამეურნეო იარაღებზე ბაჟის დაუღებლადაც გაძლიერდება და განკარგდება ეს საქმე, მით უმეტეს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ამასთანავე რკინის გზებზე ფასები დაუკლოს სამეურნეო იარაღების წაღებ-წამოღებას.

მარტო მთავრობა არა შრომობს და ილვწვის ამ საქმისთვის, თვით რუსეთის მკვიდრთაც მხარი მისცეს მთავრობას და თავის თავადაც ითავეს სხვა-და-სხვა დაწესებულების დაარსება სასოფლო მეურნეობისავე განსაკარგებლად. აი მაგალითად, მომავალს წელს ვორონეჟში უნდათ დააარსონ სამეურნეო სააქციონერო ბანკი $1^1/_2$ მილიონის მ. თანხით, რომ რკინის გზებსა და ელევატორებში ჩაბარებულის ჰირნახულში და 2) სამეურნეო დაწესებულების დასაარსებლად სესხი მისცენ. 3) მეურნეებსა და მეურნეთა ამხანაგობათაც შეეძლებათ სესხის აღება ამ საზოგადოებისაგან სამეურნეო იარაღების შესაძენად.

თითქმის ამ გვარივე საქმე განუზრახავთ შუა გუბერნიების ეროზითაც. ისინიც აპირობენ თურმე დააარსონ საკომისიონერო პურის ვაჭრობის ამხანაგობა, გამართონ საკუთარი ჰირნახულის საწყობები, ელევატორები და სესხი აძლიონ მიღებულს პურში. ამ ღონისძიებით სწადიანთ თავიდგან მოშორება პურის ვაჭრობის საქმეში მატყუარა შუაკაცებისა, რომელნიც მყიდველ-გამყიდველთ შორის არიან გახიდულები და ორივე მხრიდგან სრულიად დაუმსახურებლად იღებენ ხარკს. ამ საზოგადოების წევრად შესვლაც მხოლოდ იმას შეეძლება, ვინც ხვნა-თესვას მისდევს და გასასყიდი ჰირნახული მოეპოვება.

◆◆

# უცხოეთი

გერმანია. სიტყვა გერმანიის ახალგაზდა იმპერატორისა, თქმული სწავლა-განათლების კამისიაში, ბევრ ნაირად საყურადღებოა და საგულისხმიერო. ვილჰელმმა ამ სიტყვაში გამოსთქვა თითქმის ყოველივე ის, რასაც ფიქრობს დღეს უკეთესი ნაწილი კაცობრიობის გულ-შემატკივართა, უკეთესნი მოღვაწენი საზოგადო ცხოვრებისა, სკოლისა და მის წეს-რიგის გამო. ჩვეულებრივის დაურიდებლობით, სიცხარით და გულ-წრფელობით წარმოსთქვა იმპერატორმა თავისი უმთავრესი აზრები სწავლა-განათლების შესახებ. დრო შეიცვალაო, ბრძანა იმპერატორმა,—სხვა გვარი წეს-წყობილება დამყარდა და განათლების წესი და რიგი ამ შეცვლილს დროსა და წეს-წყობილებას უნდა შეეწონოს, შეეწყოსო. ღედ-მამათა და მშობელთაგან მრავალი წერილები და თხოვნა არზები მომდის ჩვენის სკოლების შესახებ და ამიტომ, როგორც საერთო მამას სახელმწიფოისას, არ შემიძლიან უყურადღებოდ დავტოვო მათი სათხოვარი და საჩივარიო. ისე დატოვება საქმისა, როგორც დღემდე იყო, შეუძლებელი-ღაარ. სკოლა გვიზრდის ისეთს ხალხს, რომელიც თავისს მოვალეობას ვერ ასრულებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. სკოლამ გაამრავლა ერთისა და ორის ხელობის კაცნი, რომელნიც იმდენნი არიან, რომ ლუკმა პურსაც ვერა შოულობენ და იმისთანა კაცებს-კი მცირედა ზრდის, რომელნიც სხვა ხელობათათვის არიან საჭირონიო. ეხლანდელს ჩვენს სკოლას სრულიად არა აქვს სახეში მიღებული, რა ეჭირვება დღევანდელს ცხოვრებას, რასა გვთხოვს ჩვენ ქვეყანა, რომ სკოლამაც ის მოგვცესო. უმთავრესი თავისი ყურადღება იმპერატორმა მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეხლანდელს სკოლაში ლათინური ბატონობს. ეს უნდა შეიცვალოს და მის მაგიერ გერმანული ენა უნდა გაბატონდეს გერმანულს სკოლაშიო. „გერმანული ენა, მისი ცოდნა, იმ ენაზედ წერა თხზულებისა—აი ეს უნდა იყოს ის ღერძი, რომლის გარეშემოც უნდა ყოველივე ტრიალებდეს. თუ შეგირდმა გერმანულად კარგად დაწერილი თხზულება წარმოადგინა, ამითი შეგიძლიანთ მიხვდეთ, რა გონების საგზალის პატრონია მისი დამწერი და ვარგა რისთვისმე ის შეგირდი თუ არაო“. მე იმის დიდი მსურველიცა ვარ, რომ ამას შემდეგ მეტი ყურადღება მიექცეს ყოველსავე მშობლიურს ისტორიაში, გეოგრაფიაში და სხვა საგნებშიაცაო. იმპერატორმა ვილჰელმმა ისიც მოიხსენია და საკმაო დაწერილებითაც მოიხსენია, თუ რა დიდს ჯაფას აწოდებს ეხლანდელი სკოლა შეგირდებს. ჩვენც ვმუშაობთ, ვისაც რამდენი შეგვიძლიან, მაგრამ იმდენს მუშაობას-კი, რამდენსაც დღეს გიმნაზიებში ამუშავებენ შეგირდებს, დიდრონებიც ვერ აიტანდითო. ეხლანდელმა სკოლამ და სწავლა-განათლებამ უნდა თავი დაანებოს იმ აზრს, ვითომ საქმე ცოდნაა და არა ცხოვრება. ყმაწვილები უნდა მომზადებულ იქმნან დღევანდელის პრაქტიკულის ცხოვრებისათვის. სკოლა მარტო სწავლებისათვის-კი არ არის მოწოდებული, არამედ აღზრდისათვისაცაო. ამასთანავე, სკოლა მოვალეა აღგვიზარდოს სულითა და ხორცით ძლიერი ახალგაზდობა, ისეთი ახალგაზდობა, რომელსაც შეეძლოს სამშობლოს დაცვაცა და გონებით ძლიერ მეთაურთა და მოხელეთა წინ წამოყენებაცაო“.

აი მოკლედ ის აზრები, რომელიც ვრცლად არის განმარტებული თვით იმპერატორის სიტყვაში და რომლის განხორციელებისათვის სწორედ რომ ხელმწიფის მომხრეობაა საჭირო. თუ არ ასეთი მომხრეობა და ძლიერი მარჯვენა, ქვეყანას ვერა გადაახვევინებს-რა ერთხელ და ერთხელ გატკეპნილის ბილიკისათვის, ვერა დაატოვებინებს-რა ძველს რჯულსა და ძველს მეგობარს—ლათინურ-ბერძულს გრამატიკას.

ძლიერის ხელმწიფის გვირგვინოსანის იმ სიტყვასაც, რომ სკოლა ქვეყნის საჭიროებას უნდა შეეწონოს, შეეფარდოსო და მის საფუძვლად უნდა იყოს დედა-ენა, ყოველივე მშობლიური ისტორიასა და გეოგრაფიაშიო, დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის იმ ნაწილისათვის, საცა ამ ჭეშმარიტებას არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული. ამას იქით, საგულისხმო სიტყვები გერმანიის იმპერატორისა სკოლასა და სწავლა-განათლების შესახებ ბევრ-ნაირად უნდა გამოიყენონ იმათ, ვინც ასეთისავე აზრებისთვის იბრძოდა და იბრძვის. ამათს მცირე დასს მოემატა ერთი მომხრე კიდევ, მაგრამ ისეთი ძლიერი მომხრე, რომ ის ერთი მთელს ჯარსა და მხედრობას უდრის.

◆◆

# დეპეშა

4 დეკემბერი

პეტერბურგი. „Гражд.“-ს გაუგონია, როვ პრინცმა ოლდენბურგისამ მთავრობას უძღვნა თავისი სამკურნალო საექსპერიმენტო დაწესებულებაო. პრინცი მხოლოდ მის მზრუნველად დარჩებაო.

პარიჟი. ლაბრუერი, რომელსაც უშველნია, რომ პადლევსკი გაქცეულიყო და დიუკერსის ქალი, რომელსაც დაუმალნია ეს კაცის მკვლელი, დღეს დილით იქმნენ დაპატიმრებულნი.

5 დეკემბერი

პეტერბურგი. „С.-Петерб. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ბოგდიხანის უწყება მიღებულია და რუსებს ნება ეძლევათ ვაჭრობისა პროვინციას შენსისა და საელჩოს დაწესება ლან-ჩჟოუ-ფუსა და სიან-ფუში.

პეტერბურგის ბირჟა, 4 დეკემბერი.

| | მყიდველნი (მან. კ.) | გამყიდველნი (მან. კ.) | გაყიდული (მან. კ.) |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 7 06 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | $140^3/_4$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | $238^1/_4$ |
| —მეორისა | $217^1/_4$ | — „ | — „ |
| —მესამისა | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა | $214^1/_2$ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## გორქილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ.—კ. | 6 თვეით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

# კბილი ალარავის წამოსტკივედგა

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. ზრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.





ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—65)

გამოვიდა და ისყიდება რუსულის ენის სახელმძღვანელო, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ:

## „РУССКОЕ СЛОВО“

или учебное руководство къ русскому языку для грузинскихъ школъ, часть первая, подготовительныя ступени.

გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალის სურათებით და რუსული ღედნით.

ფასი ექვსი შაური

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს ცალსა, ან მეტსა, მას წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის უნდა დაუმატონ სამი შაური.

ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ტფილისში, კუკიის ხიდის ყურთან, და სხვა მაღაზიებშიაც.

მეორე ნაწილიც „Русское Слово“-სი იბეჭდება და დეკემბერში უთუოდ გამოვა სტამბიდგან.


Дов. цен. Тифлисъ, 5-го Декабря 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე